

მარტი, 2026 კლიმატური დახასიათება

მარტის თვის პირველ დეკადაში ქვეყნის ტერიტორია მოქცეული იყო ცივი ტალღის ზემოქმედების ქვეშ. ამასთან, სიცივის ფონზე ჩრდილო-დასავლეთიდან ნოტიო ჰაერის მასების ინტენსიური გავრცელება იწვევდა ნალექებს, მთიან რაიონებში - თოვლის სახით, ხოლო შავი ზღვის სანაპირო და დასავლეთის დაბლობ რაიონებში ადგილი ჰქონდა ეპიზოდებს გადაბმული წვიმებით. შემდეგ დღეებში ამინდს, ძირითადად, განაპირობებდა მაღალი წნევის არე და მასთან დაკავშირებული უნალექო პირობები, ქვეყნის დასავლეთ ნაწილში აღმოსავლეთის მიმართულების ძლიერი ქარებით. თვის ბოლო დეკადაში კასპიის და შავ ზღვებზე განვითარებული ციკლონური აქტივობები ქვეყნის თითქმის მთელს ტერიტორიაზე განაპირობებდა ნალექებს, შედარებით მაღალი ინტენსივობით და დროგამოშვებით ძლიერი ქარებით აღმოსავლეთ საქართველოში.

მარტში ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ნორმის ფარგლებში აღინიშნა. მრავალწლიურ ჭრილში, ეს იყო 2022 წლის შემდეგ ყველაზე გრილი მარტი (ნახ.1).

ჰაერის ტემპერატურის გადახრამ მრავალწლიური ნორმიდან საშუალოდ $+0.2^{\circ}\text{C}$ შეადგინა, შედარებით მაღალი დადებითი გადახრებით ($+1.5^{\circ}\text{C}$ -მდე) შიდა ქართლში. ტემპერატურის უარყოფითი გადახრები (-1.1°C -მდე) შავი ზღვის სანაპირო ზოლში და კოლხეთის დაბლობზე, ასევე, ქვეყნის ცალკეულ აღმოსავლეთ რაიონებში (კახეთი, მცხეთა-მთიანეთი) დაიკვირვებოდა.

თვის საშუალო ტემპერატურა შავი ზღვის სანაპირო ზოლში და კოლხეთის დაბლობზე $+9$, $+11^{\circ}\text{C}$ -ის, დასავლეთის მთიან რაიონებში და აღმოსავლეთის ვაკე ტერიტორიაზე $+6$, $+10^{\circ}\text{C}$ -ის, ხოლო დანარჩენ მთიან და მაღალმთიან ნაწილში -1 , $+6^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში აღინიშნა.

ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმები ქვეყნის უმეტეს რაიონებში, ძირითადად, თვის მესამე დეკადაში (21-29 მარტი), ხოლო კოლხეთის დაბლობზე 18-19 მარტს დაფიქსირდა. მრავალწლიური სიდიდეების გადაფარვას მარტის თვეში ადგილი არ ქონია. ტემპერატურის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები $+21$, $+24^{\circ}\text{C}$ აღინიშნა როგორც დასავლეთში - დაბლობ და მიმდებარე მთიან რაიონებში, ისე აღმოსავლეთში - ვაკე ტერიტორიაზე.


მარტში ყველაზე დაბალი ტემპერატურები უმეტესად თვის პირველ დეკადაში (6-10 მარტი) დაფიქსირდა, როდესაც აბს. მინიმუმები მთიან და მათ შორის, ქვეყნის ცენტრალურ ვაკე რაიონებშიც -5 , -10°C -მდე, ხოლო მაღალმთიან ზონაში ზოგან -14 , -17°C -მდე დაეცა.

ნალექების რეჟიმის მიხედვით, მარტის თვე ქვეყნის ტერიტორიაზე საშუალოდ ნორმის მახლობელი ნალექიანობით ხასიათდებოდა, ნორმაზე შედარებით მაღალი ნალექებით აღმოსავლეთ საქართველოში და ნალექების გარკვეული სიმცირით ქვეყნის დასავლეთ ნაწილში (ნახ.2).


ნორმასთან მიმართებაში ყველაზე მომატებული ნალექიანობით გამოირჩეოდა ქვემო ქართლის მხარე, განსაკუთრებით დედაქალაქი, სადაც ნალექების თვის ჯამები კლიმატური ნორმის მნიშვნელობებს თითქმის 2.5-ჯერ აღემატებოდა. ასევე, ნორმაზე დაახლოებით 1.5-ჯერ მეტი ნალექი აღინიშნა კახეთში და ნაწილობრივ, მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიაზეც, თუმცა ნალექების მაქსიმალური რაოდენობა (120-170 მმ) კვლავ შავი ზღვის სანაპირო ზოლში და კოლხეთის დაბლობზე მოვიდა. ნალექების გარკვეულ დეფიციტს (საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობის 40-70%-მდე) ადგილი ჰქონდა ქვეყნის ცენტრალურ და სამხრეთ საქართველოს ცალკეულ მაღალმთიან რაიონებში, სადაც თვის მანძილზე ყველაზე მშრალი პირობები დაიკვირვებოდა, ნალექების რაოდენობით 30-60 მმ-ის ფარგლებში.

როგორც ჩანს, მიმდინარე წლის მარტის თვეში ნორმაზე მაღალი ნალექიანობა განპირობებული იყო მეტწილად ნალექიან დღეთა სიხშირით. კერძოდ, თვის მანძილზე ქვეყნის ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა გადაბმულად ნალექიან ეპიზოდებს, ზოგან უხვი ნალექებით, როდესაც 24-საათში თვის ნორმის თითქმის ნახევარი მოვიდა (საგარეჯო, თელავი).

28 მარტს ქ. თბილისში აღინიშნა ძლიერი ქარი. დაზიანდა კორპუსის ფასადები, ზიანი მიადგა მოსახლეობის კუთვნილ ქონებას, მათ შორის, გამოიწვია სატრანსპორტო საშუალებების დაზიანება.



ნახ.1. მარტის თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურის ანომალიები საბაზისო პერიოდთან (1991-2020 წ.წ.) მიმართებაში



ნახ.2. ატმოსფერული ნალექების მარტის თვის ჯამების ანომალიები პროცენტებში საბაზისო პერიოდთან (1991-2020 წ.წ.) მიმართებაში